**გაზეთ ის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 68 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 68

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა, ავტორის სურათით და წინასიტყვაობით, თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

---

**რო ინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იხსნება ახლად

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.** ... ქათაია

4) ... ოლოისფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა ... ებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ ... ხელობა საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებ... ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივცემ...ლის და ... მხატვარი **ტარასა სამოხის მემომცემდმე.**

...რომელთაცა შენ...

...ერთმან თქვენცა

---



## ცირკი მმ. ნიკიტინებისა

დღეს, 16 მარტს,

გაიმართება კავკასიური

## ჭიდაობა

იჭიდავებენ: ცნობილი კავკასიელი მოჭიდავე-ჰერკულესი **პავლოვი** მოჭიდავე **ღვინიანიძესთან.** წამქცევს მიეცემა 25 მ. მეორე კავკასიური ჭიდაობა: ცნობილი ფრანგი მოჭიდავე ვილიამ **რობინე** იჭიდავებს ცნობილ კავკასიელ მოჭიდავე **ლოშიძესთან** წამქცევს მიეცემა 25 მ.

ჭიდაობა გაიმართება წარმოდგენის მეორე განყოფილების ბოლოში. დასასრულ გაიმართება კომიკური-პანტომიმა.. დაწვრილებითი ცნობები პროგრამაშია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—63—1).

---

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 17 მარტს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ

**ქ-ნ მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ-ნის ვლ. ალექსი-მესხიშვილის**

მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

## ცხოვრების გმირი

დრ. 3 მოქ. კორეევისა, თარგ. ზ. ჩიკვაიძისა.

II

## ბიძიასთან გამოხუმრება

ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქ., თ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, აფხაზიშვილი მ. აბაშიძისა, დავითიშვილი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ბაქრაძე, გვარაძე, გძელიძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანაშვილი, მატარაძე, საფაროვი, სარჯველაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი შტოკმანი» იბსენისა, ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით.

გამგე ა. იმედაშვილი

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

---

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

---

ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 მარტს 1904 წ.,

**უკანასკნელი წარმოდგენა**

ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ წარმოდგენილი იქნება,

I

## ცხოვრების გარეშე

თანამედროვე სურ. 4 მოქ. ვ არეტროპოპოვისა, თარგმ. შეელიძის მიერ.

II

მეოთხე მოქ. თ. გ. ერისთ. კომედიიდან

## დავა

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ნაადგომევისათვის „საქმის კაცი", «სხვის ნათხარზე».

ამხ. გამგე **ვალ. გუნია.**

---

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**სამშაბათს, 16 მარტს 1904 წელს,**

მასის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

## ტოსკა

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა პუჩჩინისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენე რადინა, როდიონოვა; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, თულაშვილი, ფიოდოროვი, რჟანოვი, გავრილოვი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

**ანონსი:** ხვალ, ოთხშაბათს, 17 მარტს, კამიონსკის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება «სევილიელი დალაქი». ხუთშაბათს, 18 მარტს, ბენეფისია არტისტის ო. ი. კამიონსკისა. პარასკევს—მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ბილეთები იყიდება.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ერდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

...ციონალურ...

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა: შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გ...ევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**მ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასმაიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვების- და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**.. ვ მ ... შვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274


---

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

ადმირალ ალექსეევის ბრძანება.—პიერ ლერუა ბოლიეს აზრი.—რუსის ჯარის ბანაკი ხარბინში. წვრილი ამბები.

«რუს. ინვალიდში» დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მოადგილესი შორეულ აღმოსავლეთში:

«სამხედრო გარემოებათა გამო, დროებით ვსტოვებ პორტ-არტურს და მივმართავ სახელოვან გარნიზონსა და ... მოსილ ფლოტს, რომელნიც თვითმპყრობელ სარდლის მიერ მოწოდებულია, დაიცვას თავისის გულით ჩვენი ციხე-სიმაგრე დიდ ოკეანეს ნაპირს. მტრისაგან იერიშის მოტანამ ციხეზე და ფლოტის ომმა ზღვაზე, სანაპირო ბატარეების მონაწილეობით, დაამტკიცა, რომ ჯარი და ზღვაოსნები მამაცნი, გულადნი და უდრეკელნი არიან, რაიცა სრული თავმდებია მტერთა ძლევისა და უკუ-გდებისა, თუ კვალად განიზრახა იერიშით მოსვლა. მტკიცედა მრწამს, რომ ჩვენნი ჯარის-კაცნი და მეზღვაურნი, უფროსი და უმცროსი, ღვთის შეწევნაზე დამყარებულნი და ჩვენის ძლიერების მცოდნენი, სევასტოპოლის სახელოვან მცველთა მაგალითისამებრ, მედგარისა და უდრეკელის ბრძოლით დაიცავენ მათდამი რწმუნებულ ციხე-სიმაგრეს და მით პატიოსნადა და სახელოვნად აღასრულებენ თავის მოვალეობას უდიდებულესის მეფისა და ძვირფასის სამშობლოს წინაშე».

—

ერთს ფრანგულს ჟურნალში დაბეჭდილია წერილი პიერ ლერუა ბოლიესი, რომელსაც დარბაისელ და განვითარებულ მწერლის სახელი აქვს დამსახურებული.

ისა სწერს იაპონიაზე, მისის ბუნებისა, ხალხისა, ძლიერებისა და იაპონელთა მამულიშვილობის შესახებ და, სხვათა შორის, ამბობს:

იაპონიის ჯარი სწორედ ისეთია, როგორც ევროპის სახელმწიფოებისა, მხედრობის გარდა. არტილერია ისე ძლიერია, როგორც საფრანგეთისა. ჯარში მხოლოდ რჩეული ახალგაზდობა მიჰყავთ. აფიცრები სამხედრო სკოლებში არიან ნასწავლნი. ქვეითი ჯარის კაცები სიარულში დაუღალავნი არიან. იაპონელების ამ თვისებას ისიც ამტკიცებს, რომ 200,000 ჯინრიკშებად არიან და, პირუტყვის მაგიერ, თავის მხრებით დაჰყავთ ეტლები. თვითონ ლერუას უმოგზაურნია ასეთის ეტლით და 12 საათში 80 კილომეტრი გაუვლია. ეტლს მიარბენინებდა ორი კაცი, რომელთაც გზაში მხოლოდ 2 საათს შეუსვენიათ.

იაპონიას შეუძლიან იმდონივე ჯარი იყოლიოს, რამდენიც საფრანგეთსა ჰყავს. 20 წლის ახალგაზდა ყოველ წელს 428,000 მოიკრიბება. სხვა-და-სხვა გარემოება, უმთავრესად-კი ფინანსიური მხარე, ხელს უშლიდა იაპონიას მეტად დიდი ჯარი ჰყოლოდა, თუმცა ეხლაც მის ჯარში, სათადარიგოც რომ ვიანგარიშოთ, 632,000 კაცია. აქედგან შესაძლოა, 250,000 კაცი ეხლავე გაგზავნოს კორეაში. ვინც იცის, თუ რამდენად მარჯვეა იაპონელი იარაღის ხმარებაში, დამეთანხმება, რომ ერთს თვეში 400,000 კაციც შეიძლება ფეხზე დასდგეს და საომრად გაიგზავნოს.

მეზღვაურთა შესახებ-კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ იაპონელები ერთად-ერთი ერია, ამერიკელთ გარდა, რომელიც ზღვაზედ იზრდება და პატარაობიდგანვე დიდს გემებს თავის რთულ მოწყობილობით ისე ატრიალებს, თითქო სათამაშო იყოს.

ფინანსიურად იაპონია ერთის წლის ომს გაუძლებს. ძველ წეს-წყობილების დროს, წარსულ საუკუნის ნახევრამდე, იაპონიის ხალხი 825 მილიონ იენს იხდიდა ხაზინის სასარგებლოდ. ამდენს ეხლაც-კი აღარ იხდის, თუმცა მას შემდეგ გამდიდრდა და შრომის ფასმაც აიწია. ცხოვრება-კი ისევ მარტივია, იაფი, ეკონომიური და ფხიზელი, როგორც მაღალ, ისე დაბალ საზოგადოებაში...

მალე გათავდება ომი? ყველა დარწმუნებულია, რომ დიდ ხანს გასტანსო. საფრანგეთსა ჰგონია, რომ რუსეთი აჯობებს ინგლისი ჰფიქრობს, იაპონია აჯობებსო. თუ რომ იაპონიამ განიზრახა რუსების განდევნა მანჯურიიდგან და თავი გამოიდო, რუსეთი სძლევს სიმრავლით, თუმცა იაპონიას საუცხოვო ჯარი ჰყავს; მეორე მხრივ, რუსეთისა... ძალზედ გაუძნელდება და თითქმის არც შეუძლია იაპონელები განდევნოს კორეიდგან, რადგან მთა-ადგილებში მხედრობა ვერას გახდება. პორტ არტურის აღება ომს უფრო გაახანგრძლივებს, რადგან იაპონია საუკეთესო ციხე სიმაგრეს დაიჭერს.

ეს ომი იმით განსხვავდება სხვა ომებისაგან, რომ ვერც ერთი მხარე ერთის ხმლის მოქნევით ვერ აიძულებს მეორეს, იარაღი დაჰყაროს, დამორჩილდეს და მშვიდობიანად მორიგდეს. იაპონია ვერ დაიპყრობს რუსეთს და რუსეთიც იაპონიას კუნძულებზე ვერ გადაუხტება. ეს რომ მოხდეს კიდეც, ისეთი საზარელი ომი ასტყდებოდა, რომ კაცობრიობას აქამომდე არ გაეგონოს. დედაკაცები და ყრმანიცკი მახვილს აიღებდნენ, გამოჩნდებოდნენ ჟანნად'არკები და ივდითები. რუსეთის ჯარი რომ იეზოზე გადავიდეს, მაშინ ინგლისი და შეერთებული შტატები ჩაერევა საქმეში.

ლერუა ბოლიეს ვერ გაუგია, რა სარგებლობა უნდა გამოიტანოს ამ ომიდგან ან რუსეთმა და ან იაპონიამაო, და შიშობს, იქნება ამ «უბედურმა ომმა მთელს კაცობრიობას ცეცხლი წაუკიდოსო». («მ. ვ.»).

—

ინგლისის გაზეთები იუწყებიან, ვითომც იაპონიას ინგლისელებისაგან დიდძალი ქვა-ნახშირი დაუკვეთნია. ეს ამბავი არა სჯერა «ვოსტ. ვ.»:

ქვა ნახშირი იაპონიას არა სჭირდება, თავისიც ბევრი აქვს და რად გაიჭირვებს საქმეს, შორიდგან რისთვის დაიბარებს დ თავის გემებს სახიფათოდ რად გაჰხდისო. აქ სხვა რამ ეშმაკობა თუ არისო.

ჩვენის ესკადრის გასაძლიერებლად, შორეულ-აღმოსავლეთში სამხედრო გემები უნდა გაიგზავნოს ბალტიისა და შავის ზღვიდგანაო. ამ გემების შეჩერება იაპონიას დიდად ულირს, იმ მილიონზე მეტად, რაც ქვა-ნახშირით დატვირთული გემები ეღირება, და ყოველ ღონისძებას მიიღებს, რაიმე დაბრკოლება გაუჩინოსო. შესაძლოა, ერთს მშვენიერ დღეს, ეს ქვანახშირით დატვირთული გემები სუეცის არხში ვითომ შემთხვევით დაზიანდნენ დ დაიღუპონ. ამ რიგად, არხი შეიკვრის და

რუსეთის ესკადრა ერთს თვემდე შეიგვიანებსო.

—

ხარბინში რუსის ჯარი თანდათან გროვდება. ყოველ დღე რკინის გზით 5—6 მატარებელი მოდის ჯარითა და იარაღით.

ზოგი ჯარი აქვე ჩერდება, მომეტებული-კი ლიაო-იანისკენ მიდის.

ახალ ხარბინში არამც თუ ყველა სახლში ჯარი სდგას, არამედ დაუსრულებელ შენობებსაც-კი ეკედლება, რადგან სხვა თავშესაფარი არ არის.

სუსხიანი ყინვები არამც თუ ადამიანს, არამედ პირუტყვსაც-კი აწუხებს. თბილ თვალებს შეჩვეული, ცხენები ვერ იტანენ ამ ყინვებს და სულ კანკალობენ. საჭმლის შეცვლა ხომ ავადაცა ჰხდის.

რუსეთში ცხენებს შვრიითა და თივით ჰკვებენ, აქ-კი შვრია თითქმის არ იშოვება და, თუ არის სადმე, ისიც მსუბუქი და უნოყიერო. ქერს ცხენები შეჩვეულნი არ არიან და მუცელს უსიებს.

ჭვიის პური მანჯურიაში არ იშოვება ჯარის-კაცებს ხორბლის პურს შევენ. პირველად-კი სიამოვნებითა სჭამენ და არ იციან, რომ მალე მოსწყურდებათ. («ბირჟ. ვედომოსტი»).

—

ბერლინიდგან იწერებიან, რომ თოფის წამლის ქარხნები გერმანიაში დღე და ღამე მუშაობს და ვერ ასდის უცხოელთა მოთხოვნილებასო. თოფის წამალი დაუბარებია, სხვათა შორის, ჩინეთს, ოსმალეთსა და იაპონიას. ზოგი ქარხანა დიდხანს გაუქმებული იყო, ეხლა-კი ისევ შეუდგა მუშაობას. («ნოვოსტი»).

—

ინგლისის გაზეთებს ატყობინებენ სეულიდვან, რომ იაპონელები ციხე-სიმაგრეებს აშენებენ ჩრდილოეთ-კორეაში, ანჯუსა და ლაზარევის პორტს შუა, პენიანიდგან გენზანამდე, იმ აზრით, რომ იაპონიის ჯარს თავშესაფარი ჰქონდეს, თუ უკუ-იქცა. იაპონელებსა და ინგლისის გაზეთების კორესპონდენტებს ეს ციხე-სიმაგრეები მიუვალად მიაჩნიათ.

დაზიანებული კრეისერი «პალადა» უკვე შეუსწორებიათ და ამ დღეებში ფლოტს შეუერთდებაო. («მოს. ვედ.»).

—

ჩინეთის ნეიტრალიტეტი საიმედო არ არისო,—ამბობს «მოსკ. ვედ.» - როდესაც იაპონიის ჯარი ნიუ-ჩუენთან ახლო ჩინეთის ნაპირას გადავა, ნეიტრალიტეტი მაშინვე დაირღვევა. ჩინეთი იმავე დღეშია, როგორც კორეა, იმ განსხვავებით-კი, რომ ჩინელები ნება-ყოფლობითა და უფრო დიდის ხალისით შეუერთდებიან იაპონელებსაო.

თითქო ნაბრძანები ჰქონდეთო, ინგლისის გაზეთებმა ერთბაშად ასტეხეს ლაპარაკი, ჩინეთი უთუოდ ჩაერევა რუსეთ-იაპონიის ომშიო.

შანჰაი-გუანიდგან ატყობინებენ ინგლისის გაზეთებს, რკინის გზის გასწვრივ 35 ათასამდე ჩინელების ჯარი სდგას და სურსათიც საკმაოდ აქვს დამზადებულიო. (იქვე).

—

გაზეთ «ჟურ. დე დებას» საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს პეკინიდგან: უკანასკნელ კვირას მრავალი ბარგით დატვირთული ეტლები გადის ღამ-ღამობით საიმპერატორო სასახლიდგანაო. პეკინის მცხოვრებნი ამბობენ, ეს საიდუმლოდ ბარგის გაგზავნა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ მეფის სახლობა გაპარვას აპირობსო. ევროპიელებს ეშინიანთ, თუ იმპერატრიცა პეკინიდგან წავიდა, «მოკრივეთა» მოძრაობა დაიწყებაო.

## ტფილისი

*** გუშინ-წინ, 14 მარტს, ქალაქის საბჭოს შენობაში კრება იყო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების წევრთა. თავმჯდომარეობდა ლ. ფ. ტიგრანოვი; კრებას პირველად მოხსენდა საზოგადოების 1903 წლის ანგარიში, რომელიც უცვლელად იქმნა დამტკიცებული. კრებამ შემდეგ განიხილა საზოგადოების გამგეობის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა. ვარაუდით, საზოგადოებას 1904 წლის განმავლობაში ხარჯი ექმნება—8,830 მან. 95 კაპ. კრებამ უცვლელად დაამტკიცა ხარჯთააღრიცხვაც. დიდი კამათი გამოიწვია იმ საგანმა, დაენიშნოს თუ არა ჯამაგირი გამგეობის წევრს. ამ თანამდებობაზედ დღემდე პ. ი. ალიბეგოვი იყო, ეხლა-კი განცხადება შეიტანა, თანამდებობას თავს ვანებებო. ერთნი ამტკიცებდნენ, ამ თანამდებობის აღმასრულებელს ნურაფერს სასყიდელს ნუ მივსცემთო, მეორენი-კი წინააღმდეგნი იყვნენ; თავმჯდომარემ ყუთი დასდგა და კენჭის ყრით აპირებდა საგნის გადაჭრას, მაგრამ ხმაურობა და ყვირილი ასტყდა, რის გამოც კრება დაიხურა და გადაიდო სხვა დროისთვის.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე დაშავებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად მთავრობას წელს 12,799 მანეთი გადაუდვია. ეს ფული კავკასიის უმაღლესს მთავრობას უკვე მოუვიდა.

*** ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ექვთიმე დამტკიცებულ იქმნა საეპარქიო სკოლათა საბჭოსა და საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარედ.

*** ტფილისის მემამულენი წინადადებას აძლევენ ქალაქის გამგეობას, ჩვენი ადგილი შეიძინე საელექტრონო სადგურისთვისაო. დღემდე მრავალი ადგილები დაათვალიერა ქალაქის გამგეობის მიერ საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ და არც ერთი არ მოიწონა. ზოგიერთ მემამულეთა ადგილებს კომისია ხვალ დაათვალიერებს.

*** მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ალექსი, 12 მარტს ტფილისში დაბრუნდა სოფლებიდგან, სადაც ეკკლესიათა დასათვალიერებლად იყო წასული.

*** სამხედრო-საისტორიო განყოფილების უფროსი გენერალ მაიორი ვ. ა. პოტტო, 19 მარტს ტფილისის «კრუჟოკ»-ში წაიკითხავს ლექციას: «ეხლანდელი ომი იაპონიასთან»; მთელი შემოსავალი გადაიდება რუსეთის სახედრო საჭიროებისათვის.

*** 16 მარტს კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების მორიგი საზოგადო კრებაა დანიშნული. კრება საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე დაიწყება.

*** ჰლექის საწინააღმდეგო გამოფენის ბილეთები გუშინ თითო 50 კაპ. ჰღირდა. რაც შემოვიდა ბილეთების გაყიდვით, სულ ყველა გადაიდო შორეულს აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა და დაობლებულ ოჯახობისათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** ბრმათა სამზრუნველოს კასაში, რომელიც იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის მფარველობის ქვეშ იმყოფება, 1904 წლის პირველ თებერვლისათვის ყოფილა 10,516 მანეთი 85 კაპ., თებერვლის განმავლობაში შემოსულა—3,461 მანეთი 28 კაპ., სულ შემდგარა—13,978 მან. 13 კაპ., ამავე თვის განმავლობაში დახარჯულა 1,384 მან., 46 კაპ. პირველ მარტისათვის დარჩენილა 12,903 მან. 76 კაპ.

*** უსინათლო ბავშვთა სამზრუნველომ სთხოვა გუბერნატორებსა და მაზრის უფროსებს, აცნობეთ სოფლის მცხოვრებთ, რომ უსინათლოთა სამზრუნველო უფასოდ არჩენს და აგრეთვე ტფილისში ჩამოსასვლელად ფულს აძლევს მათ, რომელთაც სურთ თვალების საექიმოდ ჩამოსვლაო.

*** უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია ნავთის გადასატან ტარიფს მოუმატოს. პირველ აპრილიდან თვითოეულ ფუთზე 3 კაპიკს მოუმატებენ.

*** ტფილისის სომეხ-ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას შეუდგენია ხარჯთ აღრიცხვა მიმდინარე წლისა. ვარაუდით, შემოსავალი ექმნება - 6,930 მანეთი, ხარჯი—ამდენივე.

*** 12 მარტს ტფილისის «კრუჟოკში» გაიმართა მალოროსიული წარმოდგენა; მთელი შემოსავალი გადაიდო შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ რუს მეომართა და დაობლებულ ოჯახობისათვის შემწეობის აღმოსაჩენად; წმინდა შემოსავალი ყოფილა—38 მან. 96 კაპ., რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცა.

*** სამკურნალო საზოგადოებას აზრად აქვს მიჰმართოს კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქის საბჭოებს, რომ შემწეობა აღმოუჩინონ მას ფულით. ეს ფული სჭირდება უფასო სამკურნალო ფურცლების გამოსაცემად და ქალაქში გასავრცელებლად. ასეთის თხოვნით ერევნის ქალაქის საბჭოსაც მიჰმართეს, მაგრამ უარი მიიღო.

*** ორთაჭალის ბაღებთან მტკვარმა 12 მარტს, დილის 8 საათზე, ვიღაც დამღრჩვალი კაცი გამორიყა; ვინაობა ვერ გაიგეს და წაიღეს მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში.

*** ნიკიტინის ცირკში ყოველ დღე იმართება ჭიდაობა, ამიტომ ცირკში საზოგადოება მრავლად ესწრება. რაღად წავა ჩვენი საზოგადოება თეატრში, როდესაც ასეთი გასართობი არსებობს ტფილისში!

—

## აბრეშუმის ჭიის საღის თესლის მოპოვება.

მეაბრეშუმეობაში ერთ უმთავრესს საგანს შეადგენს ჭიის საღის თესლის მოპოვება. როგორც ფილოქსერამ და ათასმა სოკო-მიდიმა ვენახები გაანადგურა ევროპაში და ჩვენშიაც, ვიდრე ვაზის მტერს, მილდიუს და «ნაცრის» წამლობას მოიგონებდნენ, ისე პებრინამ, ფლაშერიმ და ჭიის სხვა ავადმყოფობამ მეაბრეშუმეობა დასცა როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც, ვიდრე პასტერმა საღის თესლის მომზადება არ ასწავლა ქვეყანას. დღეს, პასტერის სისტემით მომზადებულ თესლის წყალობით, მეაბრეშუმეობა ისევ ჰყვავის.

წელს მეათე წელიწადია მას აქეთ, რაც „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა" დაარსდა ქუთაისის გუბერნიაში. დაარსების დღიდგან დღემდე ჭიის თესლის მოპოვებაში ამხანაგობა ერთს გზას ადგა და ადგია. ეს გზა ძლიერ სწორი და დანიშნულებისაკენ პირდაპირ მიმართული შექმნა, რასაც უკვე დაამტკიცა წარსულმა. დღეს მეაბრეშუმე, ვისაც,—ერთხელაც არის მაინც,—ჰქონებია შემთხვევა შეეძინა ამხანაგობისაგან თესლი, უპირველესად ამხანაგობის თესლს იძენს და, როცა ამხანაგობის თესლს ვეღარ იშოვის, მხოლოდ მაშინ ძალა-უნებურად მიჰმართავს სხვა ფირმის თესლს. წელს, მაგალითად, ამხანაგობამ გაასაღა ათი-ათასი კოლოფი (თითო ექვს მისხლიანი), ანუ ორას-ორმოცდაათი კიდო (თუთხმეტ ფუთზე მეტი) თესლი. ეს რაოდენობა ნახევრადაც არ ეყო წელს ამხანაგობას, რადგან თესლისათვის ამხანაგობას მიჰმართეს ქუთაისის გუბერნიის მოვრეულ მაზრებიდგანაც.

პატივცემული კორესპონდენტი დ. ჯიხაიშიდგან, «ივერიის» 51 ნომერში ერთობ აზვიადებს ამხანაგობის ვითომ და შეცდომებს თესლის გაყიდვის საქმეში; მაგალითად, შეცდომად გვაქვს ჩათვლილი, რომ «თავისს დროზე ვერ ვაწვდით» თესლს მეაბრეშუმეებს, რომ კომისიონერებს, აგენტებს და აგენტების აგენტებს გაუყიდვიათ თესლი, რომ განცხადება თესლის გაყიდვის შესახებ ვითომ ვერ მიგვეწვდენია ყველა მეაბრეშუმეებისათვის; რომ თესლი ადრე [illegible] ვლევია, და სხვა ამისთანები [illegible] გიდგან, რომ წელს ხუთი-ექვსი ათასი ცალი განცხადება გავუგზავნეთ ჩვენში ყველგან გავრცელებულ სოფლის სკოლებსა და მღვდლებს. კითხვაც მათ იციან და ხალხთანაც ისი სცხოვრობენ; «თავის დროზე» თესლის მიწვდენა, არა ვიცი, სხვა რა უნდა იყოს, თუ არ ის, რომ ათი თებერვლისათვის, თვითონ კორესპონდენტის მოწმობით, «ამხანაგობის აგენტს არც ჩვენში (დ. ჯიხაიშში) და არც კუხში თვითონ ამხანაგობას ერთი კოლოფიც თესლი არა ჰქონდათ». ამნაირად, ათ თებერვლამდე გაგვიყიდნია ხუთი-ათასი, ხოლო მეორე ხუთი ათასი კოლოფი, რომელიც თუთხმეტ თებერვალს გამოვიხსენით ფულის შეტანით, მას შემდეგ გავყიდეთ და თითო-ოროლა დარჩენილი ამხანაგთაგანი დღესაც მოუდის ამხანაგობის სამმართველოში მათთვის დროებით შენახულ თესლს, რომელსაც არა ამხანაგთაგანი მყიდველი ბევრი ჰყავს, რომ დავანებებდეთ. რაც შეეხება აგენტობასა და კომისიონერებს, ესენი თანამედროვე აღებ-მიცემობის დვიძლი შვილები არიან. ამათის დახმარებით, ჩვენ თვითონ მივდივართ მათთან, ვინც რაიმე მიზეზით ჩვენთან პირადად მოსვლას ვერ ახერხებს. ესენი ჩვენს საქონელს ფას-მოუმატებლად ჰყიდიან ისე, როგორც ჩვენ ვყიდით ამხანაგობის სამმართველოში. ამათ ჩვენგან სასყიდელი ეძლევათ. სულ სხვაა თესლის მოვაჭრეები, რომლებიც ჩვენგან იძენენ თესლს ნაღდ ფულზე. ესენი თავის «РИСКЪ»-ით ვაჭრობენ, როგორც ყველა ვაჭრები, რომლებიც, რუსთველისა არ იყოს, იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ. ესენი ჩვენ არც მოგებას გვატყობინებენ და არც წაგებას. ამათაც კოლოფზედ ამხანაგობისაგან დაბეჭდილი აქვთ ის ფასი, რასაც თვითონ ამხანაგობა წელს ახლევინებდა არა ამხანაგებს: მაგალითად, მისხალის თესლის ფასი ათი შაური, ამხანაგობა თავის ერთხელ (ყოველ წლისათვის სხვა-და-სხვას, რასაკვირველია) დადგენილს ნიხრს არა შორდება: არც გაძვირების დროს უმატებს ფასს და არც გაიაფების დროს უკლებს. ურჩევნია გადაჰყაროს თესლი, ვიდრე ფას-დაკლებით (ორ მანეთიანი აბაზად და ხუთშაურად) გაჰყიდოს, რაიცა ჰრყვნის მეაბრეშუმეებს... სულ სხვანაირად იქცევიან თესლის ვაჭრები: ესენი ემყარებიან ვაჭრობის საზოგადო წესსა და თუ ჰხედავენ, რომ მთხოვნელი მეტია, ვიდრე საქონელი, ფასს თვითონ ადგენენ, თუნდ კოლოფზედ რაც უნდა ეწეროს. წელს, მაგალითად, საიდგანღაც შეძენილს თესლს, ამხანაგობის არჩეულ ფირმის კოლოფებში ჩაყრილს, ამხანაგობის ბანდეროლის მსგავს დაბეჭდილ ქაღალდს აკრავენ ვაჭრები და ისე ასაღებენ. ამის გამო თავის დროზე პასუხს აგებენ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ვაჭრების ამგვარს მოქმედებაში ამხანაგობას წილი არ უდევს. უმჯობესი იქნებოდა, რასაკვირველია, რომ მეაბრეშუმეებს პირდაპირ ამხანაგობისათვის მიემართნათ, რაც შეადგენს ამხანაგობის სასურველსა და საზრუნველს საგანს, მაგრამ ამას კიდევ დრო უნდა და ყველა შეგნებულის სოფლელის მხრით დახმარება და თანაგრძნობაა საჭირო. ამიტომ ამხანაგობა ჰბეჭდავს ათასობით განცხადებას; შარშან «ივერიაში» ვრცელი წერილი დაიბეჭდა ამის შესახებ, რომელიც ცალკე წიგნაკადაც გამოსცა რამდენიმე ათას ეგზემპლიარად და დაურიგა სოფლის სკოლებსა და მღვდლებს, რომელთაც მიჰმართა თხოვნით, რომ დახმარება გაეწიათ ხალხისათვის ერთის მხრით და ამხანაგობისათვის—მეორეთ, მეაბრეშუმეებში საღის თესლის გასავრცელებლად.

რაც შეეხება თესლის სიძვირეს, რომელსაც უსაყვედურებს კორესპონდენტი, თესლის სიძვირე არის სწორედ ის უტყუარი გზა რომელსაც ადგია ამხანაგობა და რომელიც ამ შენიშვნის თავში იყო მოხსენებული. სწორედ ამის შესახებ არის დაწერილი ზემოხსენებული წიგნაკი „მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ". ეს წიგნაკი მუქთად ურიგდებათ ამხანაგობაში თესლის მყიდველთ.

ნესტორ წერეთელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა, როგორც იყო, დაამთავრა «Духовный Вѣстникъ»-ში მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მოგზაურობის ვრცელი აღწერა. სხვათა შორის, ის ამბობს შემდეგს მათის მეუფების სამეგრელოში მოგზაურობის შესახებ.

ფოთში, როდესაც ექსარხოსი ეტლში ჯდებოდა, მიჰმართა ერთმა ვიღაც აზნაურმა სამეგრელოდან ხალხის სახელით და სთხოვა, დატოვებულ ყოფილიყო ღვთის მსახურება სამეგრელოში ქართულს ენაზე. ბოროტს კაცებს გაუვრცელებიათ ხმა, ვითომც ღვთის მსახურება სამეგრელოში აღარ იქნება ქართულს ენაზეო. მათმა მეუფებამ მოუხერხებლად სცნო ამ საგნის შესახებ მსჯელობა მოედანზედ მრავალ ხალხის თანადასწრებით, მით უმეტეს, რომ თვით აზნაური, რომელმაც მიჰმართა, არავისაგან არ იყო გამოგზავნილი სათხოვნელად, და არც შეეძლო არას გზით ხალხის სახელით ელაპარაკნა. ქალაქის მიერ გამართულს სადილზე, ქალაქის მოურავის თხოვნით, მათმა მეუფებამ მოისურვა აღძრულის საგნის შესახებ გულახდით ელაპარაკნა დამსწრეებს. საოლქო მეთვალყურემ (ე. ი. დეკ. ვოსტორგოვმა) განმარტა, რომ საგანი ღვთის მსახურების ქართულს ენაზე შესრულებისა და საგანი სკოლებში რუსულის ენის სწავლებისა ერთმანეთისაგან შორი-შორს არიანო. რომ მეგრელებს არა ესმით-რა ქართველებისა, წმინდა მეგრულს სოფლებში, განსაკუთრებით 8—9 წლის ბავშვებს,—ეს უეჭველი ფაქტია, რომელიც შეამოწმა პირადად თვით მათმა მეუფებამო. ამ გარემოებათა შორის უცხო, რუსულის ენის შესწავლა, უცხო (ქართულის) ენისავე საშუალებით, თუნდ ეს ენა მონათესავეც იყოს, ისეთი ფაქტია, რომელიც ეწინააღმდეგება სადის დიდაქტიკის მარტივს მოთხოვნილებათა. აი ასე უნდა ისწავლოს რუსული ენა ბავშმა: „შებეზურად რომ „დ ო რ ო ნ თ ი ა", ქართულად „დ მ ე რ თ ი ა" (დაიხსომე!); რუსულად-კი „პ ო დ" (დაიხსომე!). ხსენებული დიდაქტიკური მოსაზრებანი და სახელმწიფო ინტერესები, აგრეთვე სამინისტრო სკოლების მაგალითი, რომლებიდანაც ქართული ენა კარგა ხანია განძევებულია, ყოველივე ესე ამართლებს სწავლის ახალის გეგმის მოთხოვნილებას სამეგრელოს შესახებ. მათმა მეუფებამ მოისურვა, რომ ვისმე გაემართლებინა და დაეცვა აქამომდე არსებული რუსულის ენის სწავლების წესი სკოლებში... ვერავინ შესძლო რამე ეთქვა ამის შესახებ და ახალის გეგმის თეორიულს სიმართლეს ყველა დაეთანხმა. აღნიშნეს მხოლოდ ასეთი საფუძველი, დამყარებული ჩვეულება, ნასწავლ მეგრელთა მიერ ქართულის ენის ცოდნა, აღელვება გურიაში, ესე იგი აღნიშნეს ისეთი საფუძველი, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს სასწავლო საქმესთან.

ახალ-სენაკში მათმა მეუფებამ ინახულა ნორმალური სასწავლებელი. აქ მათი მეუფება დაესწრო ორს გაკვეთილს, რომელიც მიცემულ იქმნა მუნჯურის მეთოდით, მოწაფეებმა მტკიცედ, შეგნებით იციან რუსული ენა, დიდის ინტერესით სწავლობენ, გაკვეთილებს განუცხოველებს თვალსაჩინო სწავლაში საშველი ნივთები. ასე გასინჯეთ, თვით საღმრთო სჯულის გაკვეთილმა მუნჯურის მეთოდით მშვენივრად ჩაიარა (?!). ასევე იციან რუსული ენა ადგილობრივს პირველ დაწყებითს დედათა სკოლაში. იქვეა საეკლესიო სკოლა; ერთგული და ქების ღირსი მასწავლებლები ჰყავს, მაგრამ დიდი განსხვავებაა რუსულის ენის შეთვისებაში; საეკლესიო სკოლის მოწაფენი რუსულს ლაპარაკში მიდიან ტაატით, შიშით; სჩანს, რომ მათს ტვინში ამ დროს სამნაირი მუშაობაა: აზრი მშობლიურს მეგრულს ენაზე, იგივე აზრი რუსულს ენაზე. აი რა რიგ უხერხულია და მავნებელი თარგმანის მეთოდია რუსულის ენის სწავლების დროს.

გამობრძანდა თუ არა მათი მეუფება ნორმალური სასწავლებლიდან, მოუახლოვდა ახალგაზდა თავადი დადიანი, კანდიდატი თავად-აზნაურობის სამაზრო წინამძღოლისა, და შეგროვილ ხალხის თანადასწრებით დაიწყო რიდასიც ქაღალდზე დაწერილის კითხვა. მათი მეუფება განცვიფრებული ისმენდა. აღმოჩნდა, რომ ეს კითხვაც ქართულს ენას შეეხებოდა. სჩანს, ბოროტის მოსურნეთ აქაც გაუვრცელებიათ ხმები, რომ სამეგრელოში მოისპობა ქართული წირვა-ლოცვაო... მათმა მეუფებამ, როდესაც თავადმა ქაღალდზე დაწერილი თავისი სიტყვა დაამთავრა, ფრიად განიკვირა, რომ თავად-აზნაურობის წარმომადგენელი საჯაროდ მიჰმართავს მწყემსთ-მთავარს ისეთის თხოვნით, რომელიც ჭორებზეა დამყარებული.. მან ჰკითხა, იცით თუ არა, თავადო, ისეთი ეკკლესია, სადაც ქართული წირვა-ლოცვა აღკრძალული იყოსო. თავადმა მიუგო: არ ვიციო. ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასის მოწაფეებმა მათს მეუფებას მოახსენეს: როდესაც ვცხოვრობდით სახლში, სოფლად, ქართულისა არა გაგვეგებოდა-რაო, რადგან თვით ხალხმაც არ იცის ქართულიო, ქართულს ენას მხოლოდ სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობთო. დაბაში მცხოვრებმა მეგრელებმა-კი იციან ქართული ენა, რომელიც დაბა-ქალაქებში გავრცელებულია. თავადი დადიანი დარწმუნდა, რომ ის მოტყუებულ იქმნა ღვთის მსახურების დაუპატიჟებელ მოყვარულთაგან, რაც თვითონვე მოახსენა მათს მეუფებას. ძველ-სენაკშიაც სთხოვეს მათს მეუფებას იგივე, რაც სთხოვეს ფოთში (ქართულის ენის შესახებ) ძველ-სენაკელებმა წარმომადგენელებმა სიხარულით გამოუცხადეს მათს მეუფებას, ჩვენ არა გვსურს ვასწავლოთ ჩვენს შვილებს არც ქართული, არც მეგრული (ნ უ-თ უ!?), არამედ მხოლოდ რუსული ენაო, რადგან ეს ენა ჩვენის ბავშვებისათვის ყველაზე უფრო საჭიროა, მშობლიურს ენას მაინც არ დაივიწყებენ, რადგან სახლში ლაპარაკობენო"... (Дух. Вѣстн. № 4, 1904 года).

ასე მსჯელობს დეკანოზი სამეგრელოში ქართულის ენის არსებობის შესახებ და მკითხველმა თვით განსაჯოს, რამდენად მართალია და [illegible] საფუძვლიანია ასეთი მსჯელობა.

ხმელეთით.

—

## თეატრი და ხელოვნება

**სათეატრო ეთ[illegible]** [illegible] გუშინ-წინ, კვირას, ბულვარ[illegible] [illegible] ამელეთით [illegible] და: ეს არის ამ დილით მ[illegible] ახ საავენტონი ეს დღით ჩამოვიდა ჩვენი სახელოვანი დრამატურგი თავ. ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი და «ლონდონ»-ის სასტუმროში ჩამოხდაო.

სწორედ ამ დღეს არტისტიულ საზოგადოებაში მეორე ჯგუფის არტისტები არდგენდნენ სუმბათაშვილის დრამას «ღალატს» და, რა თქმა უნდა, ვინც-კი ყური მოჰკრა ამ ხმას, მაშინათვე თეატრში გაეშურა—თეატრში უპირებენ საყვარელ დრამატურგს «ოვაციების გამართვასო».

თეატრში თავ-მოყრილი საზოგადოება, რომელიც უმეტესად ახალგაზდობისაგან და მოწაფეთაგან შესდგებოდა, მოუთმენლად ელოდა თავის ნიჭიერ თანამემამულეს ნახვას, რომელმაც მთელი რუსეთი აალაპარაკა თავისის «ღალატით»... მაგრამ გათავდა პირველი მოქმედება, მეორე, მესამეც და სუმბათაშვილი არსად სჩანდა ..

თურმე, წარმოიდგინეთ, ეს ხმა ვიღაცებს განზრახ გაევრცელებინათ ამისთანა ტყუილი ყოვლად უკადრის და შეუწყნარებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს, რადგან ეგ საზოგადოების მასხარად აგდებაა.

—

როგორც გავიგეთ ნამდვილად, ქართულს თეატრში, აღდგომის მეოთხე და მეხუთე დღეს ორს წარმოდგენას გაჰმართავს რუსის განთქმული არტისტი ორლიონევი; მასთან ერთად, საგასტროლოდ მოდის თურმე მეორე გამოჩენილი არტისტი ქალი გორევისა. რეპერტუარი, რასაკვირველია, ორლიონევის ნიჭის შესაფერი იქნება.

—

არტისტიულ საზოგადოების თეატრში აღდგომის შემდეგ მთელის ორის კვირით ჩამოდის არტის ქალის იავორსკაიას დასი; იმის შემდეგ-კი—აპრილის მეორე ნახევარში, როგორც გავიგეთ, მოსკოვის პატარა თეატრის დასი—პრავდინისა, სუმბათაშვილისა, ერმოლოვისა და სხვათა მონაწილეობით გაჰმართავს წარმოდგენებს.

—

მთელს მაისს-კი შულცის რუსული ოპერეტკა იქნება ტფილისში.

## სვანეთში ორი კვირით *)

### XVII

იფარის საყდარშივე ვნახეთ ვერცხლის ჯვარი წარწერით: № 51. «ქ. წმიდაო... შეეწიენ მოქნესა ნათთბანს! ადიდებს, განკურთხევს ამინ და მეუდლესა ჩემსა მამ-ქანს, ძეთა მისთა შეეწე ექმენ»... პატარა წმ. გიორგის ოქროთი შეჭედილ ხატზედ: № 52 «წმიდაო გიორგი ზღუდრისაო, მეოხ და მფარველ მექმენ მოსავსა მამკობსა ხატისა შენისასა ჩვენ მონათა შენთა დღესა მას განკითხვისასა ამინ».

ზღუდრის წმ. გიორგის საყდრები ქართლშიაც არის (ცხინვალის მახლობლად) და კახეთშიაც (ს. გურჯაანში) და საკუთარი დღესასწაული აქვს—აღდგომის შემდეგ მეოთხე შაბათს.

წმ. გიორგის ოქროთი შეჭედილ ხატზედ: № 53. «წმიდაო გიორგი. მეოხ ეყავ სულსა ბედანისასა».

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, წარწერის ასოებისა და ხელოვნების მიხედვით, რომ აქ მოხსენებული ბედანი არის დადიანი, ერისთავი ეგრის-სვანეთისა 1245—1272 წლებს შორის, რომელმაც ლაშას ძის ამბოხის ჟამს იმერეთში არ უღალატა მეფეს დავით რუსუდანის ძეს.

ბედანს ასე მოიხსენებს ჩვენი მემატიანე... «იყო ბედანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხვი, ყოველთა კაცთა სრული გონიერებითა; ამან დაავწვნა ოდიში, რომელ მპარავნი და ძვირის მოქმედნი არა აჰოვებოდეს, და სვანნი განიევნეს ორად» **).

იფარის მღვდელთანვე ვნახეთ ჯოხზედ დახვეული, ტყავზედ ნაწერი ოქროპირის ჟამის წირვა, ძალიან დაზიანებული და თავ მოხეული. იგი ხელ ნაწერი სხვათა შორის შემდეგს საყურადღებო განსხვავებას გვაძლევს ეხლანდელი წირვის წესთან შედარებით: «მღვდელმან (მღ̃ნ) უფ̃ლმან (ო̃ნ) სცნეს სიტყვანი მახარებელსა ძალითა მრავლითა, მეუფემან ძლითა საყვარელთამან და მადლითა მისითა ყოვლადვე აწ და მარადის»... [1])

«ილოცეთ კათაკმეველთათვის, ილოცეთ». ამა გრაგნილის ბოლოს ძლივს-ძლივობით ამოვიკითხეთ შემდეგი:—№ 554. «ამისსა მწერალ-მხატვარ-მწიგნობარსა ბასილს მჩოტიაძესა(?) და მისთა დედა მამასა შ̃ნს დ̃ნ. ბიძის ძესა ჩემსა და მისთა შვილთა შ̃ნს დ̃ნ ა̃ნ. რომელთავა შენდობით მოგვხსენებით, ღმერთმან თქვენცა შეგიწყალოს ცოდვანი».

ს. იფარის სამხრეთით მაღლობს ვაკობზე მდებარებს ს. ზეგანი. ამ სოფლის საყდრიდგან მოტანილია იფარის საყდარში ძველი (XI საუკ.) ტყავზედ ხელნაწერი მეტაფრასი (17×10 სანტიმ.), რომელშიაც მოთავსებულია წმ. გიორგის და თეოდორე ტირონის ცხოვრება და სასწაულნი. დაწერილია წვრილი ნუსხა ხუცურით. ბოლოს აქვს საყურადღებო წარწერა: № 55 «მე გლახაკმან იოანე მესვეტემან აღვწერე წამებაჲ წმიდათა მოწამეთა წმ. გიორგისა და წმ. თეოდორეს სასწაულნი სალოცველად, ადიდენ ღმერთმან, ვახტანგ ფარჯანიანისა და დვთივ მინიჭებულთა შვილთა მისთა. აწ ვინ იკითხვიდეთ, გულსმოდგინედ ილოცევდით, რათა ღმერთმან ერთობით ადიდნეს შვილნი და მშობელნი მათნი ნებასა ზედა მათსა ამინ. დაიწერა სვეტსა ზედა ჭყონდიდისასა, ადიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისასა, ინდიკტიონსა, და ქორონიკონსა ს:ნ:ა: ხელითა იოანე მესვეტისათა». ქართლის ცხოვრებით ბაგრატ IV გამეფდა 1027 წ. ამას რომ დავუმატოთ ინდიქტიონი ბაგრატ IV მეფობისა ამ წარწერის თანახმად (027+4=8) მივიღებთ 1031 წ. ქორონიკონი სნა-ც ხომ ამავე წელს გვაძლევს (780+251)=1031 წ. ამაზედ დიდი საბუთი ჩვენი აბუჩად აგდებულის ქართლის ცხოვრების სამართლიანობისა რაღა უნდა? მაგრამ ჩვენნი უპუერმარილო პატკანიანცები მაინც არამკითხე-მიამბესავით გაიძახიან—ქართველების მატიანე ქართლის ცხოვრება ზღაპრული მოთხრობაა, სომხის ბერებისაგან შეთითხნილიო!..

ჩვენის აზრით იოვანე მესვეტე გვარათ ფარჯნიანია. ამის საბუთად მოგვყავს წ.-კით. საზოგადოების მუზეუმის № 391 ტყავზედ ხელნაწერის სახარების ბოლოს წარწერა: № 56 «სახელითა მამისათა, ძისათა, და სულისა წმინდისათა, მეოხებითა წმიდისა ღვთისმშობლისაჲთა და წმ. იოანე ნათლის მცემელისაჲთა და წმიდათა ოთხთა მახარობელთასაჲთა მე ივანე ფარჯანიანმან დავწერე წმიდაჲ ესე სახარებაჲ სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთა და მოსახსენებლად სულისა მშობელთა ჩემთასა. აწ ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას ოთხთავსა, მომიხსენეთ ლოცვათა შინა თქვენთა. რათა ღმერთმან თქვენ მაურიაის ლოცვითა უჴს შენდობაჲ ცოდვათა ჩემთაჲ და ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ხელითა, ადიდენ ღმერთმან, ჲოვანე მესვეტისაჲთა. ლოცვასა წმიდას თქვენსა გვედრივარ. და მეცა გლახაკ საწყალობელი სულითა, არსენი ეშმას ძე ლოცვ...» [2])

ფარჯანიანი—საგვარეულოა სვანეთში დღესაც ლატალში ჩ ფრიად შეძლებულ გვარად ითვლება ძველადგანვე. იოვანე მესვეტე, როგორც ჩვეულება იყო საქართველოში, ბერობის შემოსვამდე თავის გვარს ატარებდა; მაგრამ შეიმოსა თუ არა ბერობა, დაუტევა სრულიად თავის გვარის ხსენება. იოანე მესვეტე რომ საბერძნეთის, ან რუსეთის ეკლესიის მოღვაწე ყოფილიყო, არამც თუ წმინდად შერაცხამდნენ, არამედ აკათისტოებსაც შეუდგენდნენ.

ჭყონდიდის სვეტის ნანგრევი მარტვილის ტაძრის მახლობლად დასავლეთის მხრივ მე თვით მინახავს 1874 წ. ზაფხულში, წააგავს პატარა რგვალ საყარაულო კოშკს.

იფარიდგან ენგურის მარჯვნივ გავედით საქანელა ხიდზედ და ციცაბო ფერდობზედ მწკრივათ გავსწიეთ ფეხის მონასტრისაკენ.

აქ ეს ორმოცი წელიწადია მოღვაწეობს იღუმენი თეოფანე; (სვანი—კორძაია), აუშენებია მშვენიერი საყდარი სამწირველოებით, ოცამდე საცხოვრებელი ოთახი, თავლა, საკუჭნაო, გაუჩენია ძროხები, ცხენები, ხარები; დაუწყვია ხვნათესვა (დიკა, ქერი) წველა-ღვება, ყველის კეთება; გაუმართავს მშვენიერი საფუტკრე, გაუშენებია ხეხილის ბახჩა, რაც-კი სვანეთის ჰავას აიტანს—ყველა ხეხილი ჩაუყრია—ბალი, ალუბალი, მაჟალო, პანტა და სხ.

აქ ვნახეთ მშვენიერი ხატები და მათ შორის ძვირფასის ქართულის ხელოვნების ოქროს ხატი მაცხოვრისა ხუცური წარწერით «ძელი ჭეშმარიტი». ეს ხატი გრაფინია უვაროვისას ძალიან მოსწონებია 1895 წ., ვიზანტიურ ხელოვნების ხაშთად აღუარებია და ათი თუმანი შეუძლევია მ. თეოფანესთვის—მე მომეციო. მაგრამ მ. თეოფანეს მშრალი უარი უთქვამს—«რასა ბრძანებ, იუდა ისკარიოტელის ძმობილი როგორ გავხდეო»!

მ. თეოფანე კარგა ხანია ჩალოგინებულა, ქარებისაგან დახუთულია და ყავარჯნებით ძლივს დაიარება მზიან დღეში. მ. თეოფანე ტფილისში იყო დარიის მონასტერში 1866—1868 წლებში, შემდეგ გელათში.

აქ ვნახეთ პატარა ხუცური ხელნაწერი ჟამნი, ტფილისში გადაწერილი 1755 წელს. აქვე ვნახეთ უშკულის ს. ჟაბიანის ღვთისმშობლის საყდრის მშვენიერი ლავსაიკონი-მეტაფრასი (40—28 სანტიმენ.) ასე XVI საუკ. გადაწერილი—ამ ლავსაიკონის საკითხავთა შორის საყურადღებოა 10 იანვარს საკითხავი შემდეგის საინტერესო სათაურით: (წითელი მელნით) № 53 თქმული წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ღვთის მეტყველისა გრიგოლის მიმართ ეპისკოპოზისა ნოსელისა, ძმისა წმიდისა ბასილისა, რომელ იგი მაშინ მისრულ იყო სტოჳმრად ნეტარისა გრიგოლი ღვთის მეტყვლისა, ოდეს იგი ღმერთ შემოსილმან ბასილი დაადგინა სასი. მისასა და შემდგომად კურთხევისა მისისა ესტოჳმრა მას გრიგოლი ნოსელი და მისსა მას მოჳნ ყოფასა აღმოთქოჳა ესე საკითხავი:

საკითხავი ესე იწყება:

«მეგობრისა სარწმუნოჲსა არა რაჲ არს ნაცვალი არსთაგან ამის სოფლისათა, არცა რა შესწორების სიკეთესა მისსა: მეგობარი სარწმუნო საფარველი არს მტკიცე და სამეუფოჲ განმაგრებული! მეგობარი სარწმუნოი საუნჯე არს სულიერი, მეგობარი სარწმუნოჲ უაღრეს არს ოქროჲსა და ქვისა პატიოსნისა...*) დიდად პატივცემულია მ. თეოფანე თმელ სვანეთში ამოდენა ღვაწლი და ამაგი გაუწევია ამისთანა უღლაგო ადგილას თავის მოძმეთა სიკეთის გულისათვის, რომ ოდესმე აქ დაწესებულიყო მონასტერი და აქ მცხოვრებ ბერ-მონოზნებს აღედგინათ სვანეთში მამაპაპური სარწმუნოებრივი მხურვალე გრძნობა, ამართულიყო ყრმათა სასწავლებელი და ძველებურად აყვავებულიყო სწავლა-განათლება... მაგრამ ვინ არის პატრონი! სანამ ცოცხალია მამა თეოფანე, მონასტერს რა ფიქრი აქვს! მაგრამ მის შემდეგ მეტად მწარე ბედი მოელის ამოდენა ნაჭირნახულევს სამონასტრო მოწყობილებასა: იგი შეიმუსრება, დაინგრევა თეოფანეს, მზრუნველობას მოკლებული, და შემდეგ დროთათვის იგი ნანგრევნი მხოლოდ მომგონებელნი-ღა იქმნებიან—ოდესმე აქ თეოფანე ბერს უმოღვაწნია, აქ უცხოვრია და თავის ძვლებიც აქ ჩაუყრიაო! ასეთი უმადურობა იცის მამინაცვლის ბატონობამ!

ცრემლით გამოვეთხოვეთ სვანეთის ამისთანა ღირსეულს შვილს და ჩავეკიდენით დასავლეთისაკენ ჩამავალ სახიფათო ვიწრო თავ-დაღმართსა. ჩავიაკეთ მდ. ენგურის ნაპირზედ და ისე ვიარეთ შვიდ ვერსტამდე იელის საზოგადოებისაკენ.

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, 1903 წ. № 236.

**) იხ. ქ.—ცხ. 1, 392 გვ.

[1]) მღვდლისაგან სათქმელი მთავრისა მიერ სახარების წაკითხვის წინ. კარგი იქნებოდა ითავოს ვინმემ ამ საინტერესო ვარიანტის დაბეჭდვა.

[2]) იოანე მესვეტის გადაწერილი ერთი სახარება საეკლესიო მუზეუმშიაც არის, ჩამოტანილია დავით გარეჯის მონასტრიდგან.

*) იხ. წ.-კითხ. საზ. მუზეუმში ტყავზედ ხელნაწერი № 1691, რომელიც წარმოადგენს უშკულის მეტაფრასის, უფრო ვრცელს, დედანს.

## დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მარტი.

**პეტერბურგი.** მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ გააბედნიერა და ინახულა პრინცი ნაპოლეონ მიურატი ჩ გროდნენის გუსართა პოლკის პარუჩიკი პრინცი ხაიმე ბურბონელი.

**სეული.** («რეიტერის სააგენტო»). მარკიზმა იტომ გარეშე საქმეთა სამინისტროში სადილის დროს წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება იქონია კორეელებზე; იმან აღუწერა, იაპონია როგორ ნელ-ნელა განთავისუფლდა ძველ აღმოსავლეთურ წესწყობილებისაგან, და ურჩია კორეელებს, ისარგებლონ გამოცდილებით და ძველ გზას პირი უბრუნონ. თუ რომ კორეელები ამ რჩევას მიიღებენ, მაშინ ნაციონალურ თვითარსებობას დაიცავენ, თუ არა და, გაქარწყლდებიან მისს მიწა-წყალზე მეომარ სახელმწიფოთა შორის.

10 მარტს იტოს პატივსაცემლად სადილი იყო ინგლისის საელჩოსი; 12 მარტს იტო იაპონიას დაბრუნდება.

ცინანპოსა და პენ იანს შორის გზას ასწორებენ, რომ ბარგის გადაზიდვა შეიძლებოდეს; სამ დივიზიამდე ჯარი სულ იქა სდგას. პენ-იანს ძალიან ამაგრებენ. ეტყობა, იაპონელების უმთავრესი ბანაკი იქ უნდა იყოს.

**ნიუ-ჩუანი.** («რეიტ. სააგ».). მდინარე ლიაოხეზე ყინული დადნა; გემები დადიან.

**პეტრო-ალექსანდროვსკი.** ხივის ხანმა 10,000 მანათი შესწირა და მისმა მემკვიდრემ—5,000 მანათი ომის საჭიროებისათვის.

**ვლადივოსტოკი.** კომენდანტის ბრძანებით, გაერთდა პოლიცია ციხისა, ჟანდარმებისა, საზღვაო, სამოქალაქო და რკინის გზისა და დაემორჩილა რკინის გზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ლოსევს.

რადგან ციხიდგან მცხოვრებთა ნახევარი, და მომეტებულად ვაჭრები, გაიკრიბა, საჯარო ვაჭრობაზე, სასამართლოს დადგენილებათა აღსასრულებლად, მოვალენი ძალიან ზარალობენ; მყიდველი სულაც არ არის; ქონება სულ გროშის ფასად გადის და იმასაც მხოლოდ მაკლერები ყიდულობენ. ჰფიქრობენ, შუამდგომლობა აღძრან, რომ სასამართლოს დადგენილებანი აღარ აღსრულდეს ომის გათავებამდე. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებას ელიან.

**ხარბინი.** (სპეციალური). დილის რვა საათზე მოვიდა მანჯურიის ჯარის სარდალი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი, რომელსაც მიეგებნენ ჯარების დროებით უფროსი, გენერლობა, ქალაქის დეპუტაცია და ჩინეთის დიდებულნი. ხალხის ბრბოთი, ჯარითა და ჩინეთის საპატიო დარაჯით ქუჩები სულ აივსო და ყველა ალტაცებით ეგებებოდა გენერალ კუროპატკინს. ჩინეთის გზაზე მოსამსახურებმა სარდალს ხატი მიართვეს, ხოლო ქალაქის დეპუტაციამ—ადრესი და 14 ათასი მანეთი მის განკარგულებაში.—«ხარბინის ვესტნიკში» განსაკუთრებით სულ გენერალ კუროპატკინზე იწერება წერილები.—ეს მესამე დღეა, რაც გვარიანად დათბა; თოვლი გადნა.—ჩინეთის მცხოვრებნი კვლავინდებურად წყნარად მუშაობენ.—მანეთიანის ფასმა აიწია.—სამხრეთისაკენ წავიდა პირველი სასანიტარო მატარებელი.

**ეკატერინოსლავი.** გააცილეს გენერალ-ლეიტენანტი კელლერი, რომელიც მოქმედ ჯარში წავიდა. სადგურზედ დიძალი გამცილებელნი და ხალხი შეიკრიბა.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობებით). უკანასკნელ ნოტის პასუხი ჩააბარა პორტამ. პორტა თხოულობს, შეამცირონ რაოდენობა უცხოელ აფიცერთა მაკედონიის ჟანდარმერიის გადაკეთების საქმეებში. კომისიამ და გენერალმა ჯიორჯინომ თავიანთი წასვლა სალონიკს გადასდეს.

**პარიჟი.** სისხლის სამართლის პალატამ დრეიფუსის საქმის გამო ჩვენება ჩამოართვა გუშინ ესპანიის სამხედრო აგენტად ყოფილს ვალკარისსა, დღეს ჰკითხავენ გენერალ მერსიეს; გამომძიებელმა რამდენიმე კაცს ჩამოართვა ჩვენება ნიცაში.

**ნეაპოლი.** მეფე აქ მობრძანდა 11 საათზე.

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალ მაკაროვის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელზე პორტ-არტურიდგან, 13 მარტს: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას: დღეს ჯავშნიან გემებით, კრეისერითა და ნაღმიან გემებით გავედი ნავთსადგურიდგან უახლოეს კუნძულების დასათვარიელებლად».

დეპეშა ხელმწიფის მოადგილისა მის უდიდებულესობის სახელზე მუკდენიდგან, 13 მარტს: «გენერალ მიშჩენკომ მაცნობა, რომ 10 ამ თვისას, ნაშუადღევს 11 საათზე, გავგზავნე ორი ასეული დასათვალიერებლად, რამდენი ჯარი გადმოუყვანია მტერს მდინარე ჩინ-ჩან-განს იქეთა ნაპირს. ერთს ასეულს ერთ ვერს-ნახევარს იქით პაკჩენგანიდგან შეუნიშნავს მტრის მხედარნი 30 კაცამდე. რომელთაც, ვიდრე ჩვენები მიუახლოვდებოდნენ, სხვებიც მიემატნენ და შემდეგ ქვეითა ჯარიც შემოეხვია. ორი ვზვოდი ჩვენის ყაზახებისა დაქვეითდა, სროლა დაუწყო მტრის რაზმს 400 ნაბიჯის მანძილზე და მოუკლა ერთი ოფიცერი, ერთი დაბალი ჯარის კაცი და ერთიც ცხენი. რამდენჯერმე რომ დასცალეს თოფი, მოხრობელი მოვიდა, რომ მტრის ქვეითა ჯარი მოდისო, და ჩვენი ყაზახები გამობრუნდნენ. გამოირკვა, რომ პაკჩენი მტერს უჭირავს. პაკჩენგანის მარჯვენა ნაპირს ორი როტა არის და სამი ესკადრონი კავალერიისა, რომელიც ორ ბანაკად არის ორის ვერსის სიშორეზე მდინარიდგან. ქალაქ ანჩჟუში სამი ათასი იაპონელია; ცინამპოს მუდამ მოდის იაპონელების გემები და ტრანსპორტები. ცინამპოში გადმოსული ჯარი პენიანს მიდის და იქიდგან იანსანსა და კანგოს.

გენერალ სმირნოვის მოხსენებით პორტ-არტურიდგან, 11 მარტს ჩვენმა მზვერავმა რაზმმა ვინძიოსთან დაამარცხა და თითქმის სულ გაჟლიტა ხუნხუზთა ბრბო, რომელშიაც 50 კაცი იყო; ჩვენ არც ერთი კაცი არ დაგვიკარგავს».

**ბელგრადი.** ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა კომისიამ, რომელსაც აზრად აქვს რუსებთან ძმური ერთობა იქონიოს, მიჰმართა სერბიის ერს მოწოდებით, ვისაცა ჰსურს, სერბიელთა ლეგიონში ჩაეწეროსო; ლეგიონში 500 კაცი იქნება და რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილეობას მიიღებს.

14 მარტი.

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალის მაკაროვის დეპეშა, გამოგზავნილი 14 მარტს პორტ-არტურიდან მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე: «უქვეშევრდომილესად მოგახსენებ, რომ 14 მარტს, ნაშუადამევს 2 საათზე, მტერმა მეორედ სცადა შიდა რეიდის შესავლის შეკვრა; ამ აზრით რეიდის შესავლისაკენ გამოგზავნა ოთხი დიდი სავაჭრო გემი ექვსის ნაღმიან გემის თანახლებით; მტრის გემები თავის დროზე იქმნენ შემჩნეულნი პროჟექტორების საშუალებით და ჩვენმა ბატარეიებმა და სადარაჯო ნავებმა «ბობრი»-მ და «ატვაჟნი»-მ ზარბაზნები დაუშინა; რათა ხელი შეეშალა მტრის გემების შემოსვლისათვის, სადარაჯო ნაღმიან გემის «სილნი»-ს უფროსმა, ლეიტენანტმა კრინიცკიმ იერიში მიიტანა მტრის გემებზე ჩ ნაღმით შეანგრია წინა ნაწილი მოწინავე გემისა, რომელმაც მარჯვნით გაუხვია, იმას თან გაჰყვა ორი სხვა გემიც, ასე რომ, სამივე შესავლის მარჯვნით გაირიყა; მეოთხე გემმა-კი მარცხნით გაუხვია და ფარვატერის გვერდით ჩაიძირა. ნაღმიანი გემი «სილნი» შეებრძოლა ექვს მტრის ნაღმიან გემებს; ამ გემზე მოკლულია უფროსი ინჟენერ-მეხანიკი ზვერევი და ექვსი მეზღვაური, დაიჭრა უფროსი გემისა და 12 მეზღვაური. დილით გამოჩნდნენ იაპონიის ნაღმიანი გემები და კრეისრები. მე ჩემის ფლოტით გავედი მტრის შესახვედრად. იაპონელების მეორე მეცადინეობამ, რომ შეეკრა პორტ-არტურის შესავალი, ისევ უნაყოფოდ ჩაიარა, როგორც პირველმა: ნავთსადგურის შესავალი თავისუფალია.

**პორტ-საიდი.** («რეიტ. სააგენტო»). რუსეთის გემი «მალაია» «ვარიაგ»-ის 268 მეზღვაურითურთ ადესას გაემგზავრა.

**სევასტოპოლი.** ქალაქის გამგეობამ გამოიწერა ორი ვერცხლის კათხა «ვარიაგ»-ისა და «კორეეც»-ის უფროსთათვის.

**სევასტოპოლი.** «ვარიაგ»-ისა და «კორეეც»-ის მეზღვაურნი ადესაში ნაწილნაწილად შემოიყლიან და თავს მოიყრიან სევასტოპოლში, სადაც დიდის ამბით დაუხვდებიან.

**ხარბინი.** (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 13 მარტს აქედან წავიდა მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალი. სადგურზე გასაცილებლად შეიკრიბნენ წარმომადგენლები სამხედრო გამგეობისა, რკინის გზისა, საზოგადოება და კვანტუნის ოლქის ეპისკოპოსი. მატარებელი რომ დაიძრა, ხალხში გაისმა ხანგრძლივი «ურა»-ს ძახილი. გუშინ მანჯურიის ჯარის მთავარსარდალი სადგურიდან ტაძარში მივიდა, სადაც მას შეეგება კვანტუნის ოლქის ეპისკოპოსი, რომელმაც დალოცა კუროპატკინი გულზე საკიდ ჯვრითა და წმინდა ნაწილით და შემდეგ ყელზედ დაჰკიდა ჯვარი. ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც ეპისკოპოსი ებაასა გენერალ კუროპატკინს. ეკლესიიდან გამოსვლის დროს, კუროპატკინი მიესალმა ხარბინის თავისუფალ ქვეითა დრუჟინებსა და მადლობა მოახსენა სამსახურისათვის. შემდეგ მივიდა საავადმყოფოში და ეპისკოპოსის სახლში. ყველგან დიდ-ძალი ხალხი ეგებებოდა გენერალს.

**სევასტოპოლი.** ამ კვირის ბოლოს, სევასტოპოლში მოელიან ექვს აფიცერსა, «ვარიაგ»-ის მეზღვაურთ, უფროს აფიცერს და კაპიტანს სტეფანოვს. მეზღვაურნი ემზადებიან ქალაქში შესახვედრად. «ვარიაგი»-სა და «კორეეც»-ის მეზღვაურნი სევასტოპოლში შეიკრიბებიან, რომ გამოეწყონ, რადგან ახლა იმ ტანისამოსში არიან, რომელიც ბრძოლის დროს ეცვათ. უკანასკნელ ჯგუფსა და უფროს ფლიგელ-ადიუტანტ რუდნევს მოელიან აპრილის პირველ რიცხვებში. როდესაც ყველანი შეიკრიბებიან, შემდეგ მოსკოვით პეტერბურგს გაემგზავრებიან.

**პეტერბურგი.** გენერალ სმირნოვის დეპეშა მის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელზედ პორტ-არტურიდგან, 14 მარტს 1904 წ.

«უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ ღამე 13-დან 14 მარტს, მთვარის ჩასვლის შემდეგ, იაპონელებმა კვალად სცადეს ნავთსადგურის შესავლის დახშვა, რისთვისაც გამოგზავნეს ოთხი საბარგო გემი და ნაღმიანი გემები მოაყოლეს. ღამის 2 საათსა და 15 წუთზედ, სადარაჯო გემებმა და ბატარეებმა შენიშნეს მტრის გემები და ერთბაშად სროლა დაუწყეს. საბარგო გემებს წინ ნაღმიანი გემები მიუძღოდა და უკან შორი-ახლო დიდი გემებიც, რომლებმაც ციხეს ყუმბარები დაუშინეს, დაწინაურებულ გემების დასაცველად. ჩვენის არტილერიის მძლავრმა ცეცხლმა და ნაღმიან გემების მამაცურმა მოქმედებამ, მტრის გემები ნავთსადგურის შესავალთან არ მოუშვა; ორი გემი კლდეს დაეჯახა «ზოლოტოი გორასთან», ერთს ჩვენის ნაღმიან გემიდგან გასროლილი ყუმბარა მოხვდა, დაზიანდა და დაიღუპა პირველ ორ გემების უკან, მეოთხეც ცხვირით დაეძგერა წინად დაძირულ იაპონელთა გემს «მაიაჩნაია გორასთან» და დაიღუპა. ნავთსადგურის შესავალი თავისუფალია. დაღუპულ გემებზედ ზარბაზნები ყოფილა გოჩკის სისტემისა, ერთის დიუიმის კალიბრისა, რომლებითაც ჩვენს ნაღმიან გემებს ესროდნენ. დაღუპულ გემებიდგან ნავები ჩამოუშვეს მეზღვაურთა გადასარჩენად და მათგან, როგორც ეტყობა, მხოლოდ ერთი გადარჩენილა. დილის 4 საათი იქნებოდა, როდესაც მტრის ნაღმიანი გემები გაბრუნდნენ და სროლაც შესწყდა; ფლოტის უფროსი, ადმირალს მაკაროვი, მაშინვე ორთქლმავალ ნავით ნავთსადგურზე გავიდა მტრის დაღუპულ გემების დასათვალიერებლად. დილის 5 საათზე, პორტ-არტურის სამხრეთით მტრის ნაღმიანი გემები გამოჩნდნენ, რომლებსაც

ბატარეებმა ყუმბარები დაუშინა. დილის 6 საათი იქმნებოდა, როდესაც შორს მტრის ესკადრა გამოჩნდა ® ჩვენიც ნავთსადგურიდგან გამოდიოდა დასახვედრად. 6 საათსა და 30 წუთზე ბატარეებმა სროლა ასტეხეს; სროლა ბატარეებისა და გემებისა მალე შესწყდა, რადგან იაპონიის ესკადრა უკან-უკან წავიდა სამხრეთისაკენ, ეტყობა, ბრძოლა არა ნდომებია. დილის 10 საათზე მტრის ესკადრა სრულიად მიიმალა».

**ვაშინგტონი**. («რეიტ. სააგ.»). რუსეთის მთავრობამ აუწყა შეერთებულ შტატების მთავრობას, მდინარე ლიაოხეს ბოლო ნაღმით არის მოცულიო.

**მუკდენი**. მანჯურიის ჯარის სარდალი მობრძანდა. სადგურზედ საპატიო დარაჯი დაუხვდა: 1 როტა დროშითა და მუსიკით. გენერალ კუროპატკინმა სალამი მიიღო, საპატიო დარაჯი თავის წინ გაატარა და შემდეგ ეტლში ჩაჯდა, რომლითაც მის უდიდებულესობის მოადგილესთან გაეჩქარა.

**პორტ-საიდი**. «მეზღვაურნი და აფიცრები სიხარულით მიეგებნენ ამბავს დასაჩუქრების შესახებ და ლოცულობდნენ, რათა ხელმწიფეს გამარჯვება მიენიჭოს; მზად არიან თავი შესწირონ სარწმუნოებას, მეფესა და სამშობლოს. კრეისერ «ვარიაგის» უფროსი აფიცერი, მეორე ხარისხის კაპიტანი სტეფანოვი».

**ბერლინი**. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ზღვაოსნობის ანგეტი გერმანიის მისსიისა ტოკიოში იაპონიის ზღვაოსანთა უმთავრეს შტაბთან აქმნება მიჩენილი.

**ნეაპოლი**. «ჰოჰენცოლერნზე» სადილის დროს იტალიის მეფემ ადღეგრძელა გერმანიის იმპერატორი, იმპერატრიცა, მთელი სამეფო ოჯახი და გერმანიის ერი. იმპერატორმა ვილჰელმმა მეფეს სადღეგრძელოთივე უპასუხა.

**ბერლინი**. გადაწყვეტილია, რომ მეფე ალფონსი გაემგზავრება გერმანიისაკენ. მეფე ბერლინს მოვა ზაფხულის გასულს, რომელსაც სან-სებასტიანში გაატარებს.

15 მარტი.

**ოდესა**. ოდესა დიდის ამბით ემზადება მიეგებოს ჩემულპოს გმირებსა.

**ვარშავა**. პრივისლიანის რკინის გზაზე გადააკეთეს და დაამზადეს ორი ვაგონი დაჭრილთა გადასაყვან-გადმოსაყვანად. ვაგონებს გასასინჯად პეტერბურგს ჰგზავნიან და, თუ მოიწონეს, ჩარიცხავენ ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სასანიტარო მატარებელში.

დეპეშა მეფის მოაჯგილის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მის უდიდებულესობის სახელზე, 14 მარტს გამოგზანილი მუკდენიდან: «ღამე 13—14 მარტს, როცა მთვარე ჩავიდა, იაპონელებ. მოინდომეს ნავთსადგურის შესავლის ჩახერგვა, და ამიტომ ოთხი უბრალო გემი გამოგზავნეს, რომელსაც ნაღმიანი გემები მოსდევდნენ. ასე, ღამის 2 საათს და 15 წუთს, სადარაჯო გემებმა და ბატარეებმა შენიშნეს მოახლოვება მტრის გემებისა და დაუწყეს ძლიერი სროლა. უბრალო გემებს წინ ნაღმოსანი მოუძღოდნენ, უკანკი, კარგა მოშორებით უფრო დიდი გემები, რომელთაც ციხეს დაუწყეს სროლა, რომ შეძლება მიეცათ, წინა გემებისთვის თავისი დანიშნულება შეესრულებინათ. ჩვენის არტილერიისა და ჩვენის ნაღმოსან გემების მამაცურის მოქმედების გამო, გემებმა ვეღარ მოაღწიეს ნავთსადგურის შესავლამდე; ორი ოქროს მთასთან, ქვებზე გასდგნენ, ერთი წყალში ჩაიღუპა, რადგანაც ნაღმით გვერდი შევუმტვრიეთ, მეორეც ჩაიძირა და ცხვირით მიებჯინა ადრევ კანდელის მთასთან ჩაძირულ იაპონიის გემსა. ჩაძირულ გემებზე იპოვეს ერთ დიუმიანი ჩქარი სასროლი ზარბაზნები გოჩკისა, რომლიდანაც ჩვენს ნაღმოსნებს ესროდნენ. თვითეულ დაძირულ გემებიდან ჩაუშვეს ნავები ხალხის გადასარჩენად, ოთხს ნავში, ვგონებ, ერთი გადარჩა. ასე, დილის ოთხ საათზედ, მტრის ნაღმოსნები წავიდნენ და სროლა შესწყდა. ფლოტის უფროსი მაკაროვი მაშინვე ორთქლმავალ პატარა გემით გავიდა რეიდზე მტრის ჩაძირულ გემების დასათვალიერებლად. მტრის გემებმა ნაღმით მოტანილ იერიში დროს, ნაღმიან გემს «სილნის» დაუმტვრიეს ორთქლის ლულა და საჭე და ამიტომ ის ოქროს მთასთან ნაპირს გაირიყა, საიდანაც უნდათ ამოიღონ. ნაღმიანს გემზე დახოცილნი და დაჭრილი არიან, მაგრამ რამდენია, ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

ასე, დილის 5 საათსა და 25 წუთზედ, პორტ-არტურთან სამხრეთად შენიშნული იქმნა მტრის ნაღმიანი გემები, რომლებსაც ბატარეებმა დაუშინეს ყუმბარები. 6 საათზედ გამოჩნდა მტრის ესკადრა. 7-ის ნახევარზედ ვეფხვის კუნძულიდან სროლა დაუწყეს ჩვენმა ზარბაზნებმა, ხოლო ჩვენი ესკადრა გაემართა სათითაოდ გამწკრივებული ნავთ-სადგურიდან. «ბაიანი», «ნოვიკი» და «ასკოლდი» პირველნი გავიდნენ და დაუწყეს იმათაც ზარბაზნების სროლა. სროლა მალე შესწყდა, რადგანაც მტრის ესკადრა შორს იყო. ათის საათის 15 წუთზედ მთლად ჩვენი ესკადრა რეიდზედ გამწკრივდა. იაპონიის ესკადრამ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიწყო სიარული და, როგორც ეტყობოდა, თავი მოარიდა ბრძოლას. ასე 11 საათზედ, იაპონიის ესკადრა აღარა სჩანდა. ზემორე ხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

დეპეშა ვიცე-ადმირალის მაკაროვისა, პორტ-არტურიდან 14 მარტის თარიღით მისის უდიდებულესობის სახელობაზედ: «თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას მოვახსენებ, რომ მტერი უკუ-იქცა და ამიტომ მე ნავთ-სადგურში დავბრუნდი ფლოტით. ნაღმიანი გემი «სილნი», რომელიც ღამე ჰორომზედ გაჩერდა, რადგან მანქანა გაუფუჭა მტრის ყუმბარამ, ზედ-მყოფ ჯარის-კაცთა მხნეობით გადმოვაცურეთ ჰორომიდან და ნავთსადგურში შევიყვანეთ უვნებლად. მისმა უფროსმა, ლეიტენანტმა კრინიცკიმ, სუბუქად დაჭრილმა ხელში. თავის ადგილს თავი არ დაანება. ჩასახერგ სავაჭრო გემებზედ აღმოჩნდა ჯოჯოხეთის მაშინები. მისი მავთულები გადასჭრეს ჩვენებმა. თითონ იკისრეს ეს საქმე თავიანთის სურვილით. მათ შორის ზოგიერთნი — ლეიტენანტები კედროვი მე-4, აზარიევი მე-3 და მიჩმანი პილსუდსკი,—რომელნიც მე გავგზავნე, ავიდნენ გემზედ იმ წამსვე, როცა გაჩერდა, გადუჭრეს მავთულები და ჩააქრეს ცეცხლი, რომელიც გაუნათებდა მტერს ნავთ-სადგურში შემოსასვლელს გზას რეიდზედ დილით ვნახეთ მცურავი ნაღმი ჯოჯოხეთის მაშინითა, რომელიც უვნებლად ამოვიღეთ წყლიდან. რეიდი გაწმენდილია. ჩასახერგი გემები ძველები არ არის, 2,000 ტონამდე ჩაიტევს და შეიარაღებულია მცირე-ყალიბის ზარბაზნებით, რომელსაც ბატარეებზედ გავამაგრებ. ზოგიერთს გემებს ამოვაღებინებ წყლიდან ჩვენის ნავთ-სადგურის საჭიროებათათვის.

**სტამბოლი**. იმ სახელმწიფოთა ელჩებმა, რომელთაც ხელშეკრულობაზედ ხელი უწერიათ, მიიღეს პორტასთან წარდგენილ მემორანდუმის შესახებ პასუხი. ამ პასუხში პორტა წინააღმდეგობას აცხადებს კომისიისა და გენერალ ჯიორჯიოსის სალონიკს წასვლის გამო. ელჩები ახალს ღონისძიებას მიჰმართავენ. პორტამ ჩააბარა ელჩებს სია დანაშაულობათა, რომელიც ჩაუდენიათ აჯანყებულთ 1-ლ იანვრიდან 23 მარტამდე (ახ. სტ). სიაში აღნიშნულია 23 მკვლელობა, სამი შებრძოლება აჯანყებულთა ოსმალეთის ჯარებთან და ერთიც—ცდა ყუმბარის სროლისა.

**პეტერბურგი**. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო, განაგრძონ ბეჭდვა გაზეთ «ენისეისა».

გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა სურვილი გამოსთქვა, კარგი იქნება ჯარის-კაცთა საზაფხულო ხალათები და ქუდის საპირეები თეთრის ფერისა არ იყოს და შეცვლილ იქმნას ნაცრისა ან ქვიშის ფერითაო, რადგანაც თეთრად გამოწყობილ ჯარის-კაცთ ადვილად შეამჩნევენ ხოლმეო. ამის გამო, მეტად სასურველია, რომ მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცას სახელობაზე ჯარის-კაცთათვის საცვლების დასამზადებლად დაარსებულ საწყობში ზემოხსენებულ ფერის შესაფერი საქონელი იგზავნებოდეს შემოწირულებად.

**ნეაპოლი**. მეფემ გერმანიის იმპერატორს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც მადლობა გადაუხადა კარგად მიღებისათვის. იმპერატორმაც საპასუხოდ გულითადი მადლობა გამოუცხადა.

**სეული**. («რეიტერის სააგენტო»). დღეს იაპონიაში გაემგზავრა იტო. ის დაბეჯითებით სთხოვდა იმპერატორს, რომ მხედრობა არ გაეძლიერებინა და ურჩევდა რეფორმების შემოღებას თანდათანობით. მისს რჩევას, უეჭველია, მიიღებენ. იტოს მისვლის პასუხად კორეა იაპონიაში საელჩოს გაჰგზავნის.

**პარი**. («რეიტერის სააგენტო»). სამის კვირის ლაშქრობის შემდეგ, გენერალი მაკდონალდი მოვიდა აქ იზამბოდან თავისის ჯარით.

**დარტმუტი**. («რეიტ. სააგ».). დღეს ინგლისის საზღვაო აფიცრები იყვნენ გემ «პრინცესსა მარიამზედ», რომელიც პორტ-არტურიდან მოვიდა დანიის დროშით, რადგანაც ეჭვი აიღეს, რომ ეს რუსეთის გემია და ნეიტრალურს დადგენილებას არ ლევსო. ყველა ქაღალდები გემისა დიდის სიფრთხილით გასინჯეს. გემს ნება მისცეს წაიღოს 500 ტონნი ქვა-ნახშირი, რომელიც ბალტიის ზღვამდე ეყოფა. როგორც ისმის, გემს დევნიდა თურმე იაპონიის კრეისერები.

**სოფია**. (ოპოზიციის ცნობებით). მთავრობამ ხელ-ახლა მიანდო ნაჩევიჩს იძულებულ ჰყოს პორტა, რომ ჩქარა მოაწეროს მორიგების ხელი.—«პოლიტიშე კორესპონდენტ»-ის ცნობას იმის შესახებ, ვითომ ბოლგარიამ მოითხოვა თანხმობის ქაღალდში შეტანილ იქმნას, რომ პორტამ რეფორმები ადრიანოპოლის ვილაიეტშიც შეიტანოსო, უარ-ჰყოფენ.

---

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

**პეტერბურგის ბირჟა**

12 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,60 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 43,60 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 93⅛ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | 91¼ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 363½ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 303½ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 264 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მ.მ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . | 87½ წვრ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 88 წვრ. გაყ. |

---

**რკინის გზის მიმოსვლა.**

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის-ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 3 წ

**ე) მიხაპნიდან:**

**მიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**ზორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

---

# განცხადებანი


ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16 გვ. ფასი 30 კაპ.

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში**,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროს კოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს, ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ. **ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში**. (24—9)




**მ ა მ უ ლ ი**

უნდათ იყიდონ ვერაზედ და სოლოლაკში, 300—400 ოთხ-კუთხი საჟენი; რის ნაკლებაც არ შეუძლიანთ პატრონთ გაჰყიდოს, აცნობონ ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სამოსწავლო კომისიის საქმის მწარმოებელს 1-ლს განყოფილებაში, **20** მარტს.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქაჯანა**

2.

**ალი**

მოთხრობა მისავე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлись Общество распростр. грамотности.


---

**ბ ა ლ ა ნ ს ი ტ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ კ ი ს ა**

1 მარტს, 1904 წელს.

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 16721 | 34 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრედიტო დაწესებ. | 20470 | 20 |
| III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. . | 1100 | 29 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 299289 | 80 |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. . . . . . | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . . | 1375 | — |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა. | 1052 | 25 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ® მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 19463—50 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქალ. 51006—00 გ) საქონელზედ . . . 24566—00 დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 9079—00 | 104114 | 50 |
| XI. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . | 87 | 06 |
| XIII. მოწყობა და მომართვა . . . | 2067 | 46 |
| XIV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 64920—48 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 30176—52 | 95097 | — |
| XV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ | 392 | 02 |
| XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . | 687 | 46 |
| XVII. მიმდინარე ხარჯები . . . | 4022 | 58 |
| ბალანსი | 565517 | 10 |

**პ ა ს ი ვ ი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 815 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10% გან. | 91391 | — |
| II. სათადარიგო თანხა: . . . | 8592 | 26 |
| III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 137306—69 ბ) ვადით . . . 146100—21 გ) უვადოთ . . 1965—00 | 285371 | 90 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . | 1384 | 55 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . | 1431 | 05 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | 6 | 15 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§ ის თანახმად . . . | 826 | — |
| VIII. გასაგზანათ მიღებული თანხა . | — | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 21097—36 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 48817—00 | 69914 | 36 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფლისის განყოფ. , . | — | — |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ ბანკის განყოფილებაში . 41484—50 სხვა ბანკებში . . . 49802—00 | 91284 | 50 |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებ. | 3809 | 91 |
| XIII. მიღებული სარგებელი . . . | 3524 | 18 |
| XIV. 1903 წლის წმინდა მოგება. . . | 7941 | 24 |
| XV. მოგებული და დაკარგული 1904 წლისა. | 40 | — |
| ბალანსი. | 544877 | 10 |
| პასუხის-მგებლობა 815 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ. . . . . | 822519 | — |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . . . . | 10100 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. . . . | 15186 | 75 |

Дозволено цензурою Тифлисъ 15 мартъ 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинаріи.